ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №103

2011 წლის 26 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებში მშობელთა შემონატანის ოდენობის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ" ქვეპუნქტისა და ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2011 წლის 18 აგვისტოს №01-19/137 მომართვის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას საბავშვო ბაღებში მშობელთა შემონატანი განსაზღვროს 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**